



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

დავით აღმაშენებლის გამზირი N80
0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

13 ნოემბერი 2024 წ.



KA000078234913724

№ 2024/6334

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლე ივერი აბაშიძეს
ა(ა)იპ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
სარჩელთან (რეგისტრაციის N10402619) დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო ივერი,

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებების დაცვას ქვეყნის ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში.^[1] მათ შორის, აპარატი აქტიურად აკვირდება საარჩევნო დავების განხილვისას ადამიანის უფლებათა, მათ შორის საარჩევნო უფლების, სტანდარტებისა და კანონმდებლობის დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად მდგომარეობას.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.“ სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის, მოცემულ შემთხვევაში საარჩევნო უფლების, მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც რელევანტურია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით და სახალხო დამცველის მოსაზრებით დაეხმარება სასამართლოს საკითხის გადაწყვეტაში.

აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში წარმოგიდგენთ სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებას ა(ა)იპ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელთან (რეგისტრაციის თარიღი: 12.11.24, რეგისტრაციის N10402619) დაკავშირებით.

1. ამიკუსში წარმოდგენილი ინფორმაციის შესახებ

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველი სასამართლოს წარმოდგენს ინფორმაციას არჩევნების ფარულობასთან დაკავშირებული სტანდარტების შესახებ. კერძოდ, რას გულისხმობს არჩევნების დღეს ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი, რა მნიშვნელობას ანიჭებს მას საქართველოს კონსტიტუცია და საერთაშორისო სტანდარტები, როდის შეიძლება დაირღვეს ის და რა სამართლებრივი შედეგები მოსდევს მის დაუცველობას. იმის გათვალისწინებით რომ დავის საგანი სასამართლოში **ელექტრონული კენჭისყრის შედეგების გაუქმებას უკავშირდება, სახალხო დამცველი ამიკუსში ყურადღებას გაამახვილებს თუ როგორია ამ შემთხვევაში ფარულობის უზრუნველყოფის სტანდარტი.**

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს პირველად, ქვეყნში კენჭისყრის პროცესში მასშტაბურად დაინერგა ელექტრონული ტექნოლოგიები. ამ ფაქტორებისა და ზოგადად საარჩევნო უფლების რეალიზაციის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს ჩატარებული არჩევნების ფარგლებში გამოვლენილ შესაძლო დარღვევების შეფასებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკითხის აქტუალობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, წარმოგიდგინებ ინფორმაციას დავის განხილვისთვის რელევანტურ სტანდარტებთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველი იმედოვნებს რომ მიწოდებული ინფორმაცია დაეხმარება სასამართლოს მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება რეგისტრაციის გემოაღნიშნული სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით.

2. ფარული კენჭისყრის შესახებ: პრინციპი და მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის (შემდგომში „კონსტიტუცია“) 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, [...] პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე **ფარული კენჭისყრით** 4 წლის ვადით ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული სისტემით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად კი, საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. საქართველოს საარჩევნო კოდექსი საქართველოში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლემისციტის **ფარული კენჭისყრით** ჩატარებას ერთ-ერთ ძირითად პრინციპად ადგენს და მას ამომრჩევლის ნების თავისუფლად გამოვლინებასთან ერთობლიობაში განიხილავს, რაც პირდაპირ ეხმიანება ზემოთ მითითებულ კონსტიტუციურ დანაწესს.[2]

კონსტიტუცია საარჩევნო უფლების განმტკიცებით ადგენს ამ უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტებსაც და მოითხოვს, რომ შეიქმნას საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის **საჭირო გარანტიები**. ეს უფლება ქმნის კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიას, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ თავისუფალი ნების გამოვლინების საწყისებზე მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში.[3] ამასთან, მართალია საარჩევნო სისტემის/მოდელის შერჩევასაც კანონმდებელი მაღალი დისკრეციით სარგებლობს,[4] თუმცა შერჩეული მოდელი (მათ შორის, არჩევნების ჩატარება ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით) უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქის როგორც თავისუფალი ნების გამოვლენას, აგრეთვე, იმ ძირითადი კონსტიტუციური პრინციპების/სტანდარტების დაცვას, რაც საარჩევნო უფლებასთან მიმართებით თავად კონსტიტუციითაა დადგენილი.

არჩევნების ფარულობის მოთხოვნა განმტკიცებულია საერთაშორისო/რეგიონული ხელშეკრულებებითაც. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში „ევროკონვენცია“) 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, გონივრული ხანგამოშვებით ჩაატარონ თავისუფალი არჩევნები **ფარული კენჭისყრით** ისეთ პირობებში, რომლებიც საკანონმდებლო ორგანოს არჩევნისას უზრუნველყოფს ხალხის ნება-სურვილის თავისუფალ გამოხატვას.

ევროპის საპარლამენტო ასამბლეა 1590 (2007) რეზოლუციაში „ფარული კენჭისყრის ჩატარების ევროპული კოდექსი, მათ შორის მითითებები პოლიტიკოსებისთვის, დამკვირვებლებისთვის და ამომრჩევლებისთვის“ უთითებს, რომ ხმის მიცემის ფარულობის უზრუნველყოფა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ძირითად ასპექტია. ის ამომრჩევლებს იცავს არჩევანზე ზეგავლენის მომხდენი ნებისმიერი საფრთხისგან და უზრუნველყოს აზრისა და პოლიტიკური თუ სხვაგვარი შეხედულების თავისუფლებას.[5]

2.1. ფარულობის უზრუნველყოფად გასატარებელი აუცილებელი ღონისძიებები და ფარულობის პრინციპის დარღვევის სამართლებრივი შედეგები

ევროპის საპარლამენტო ასამბლეა 1590 (2007) რეზოლუციაში (მითითებულია ზემოთ) მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ხმის მიცემის ფარულობა ყველა მოქალაქისთვის (მათ შორის, მონყვლადი ჯგუფებისთვის) და დარწმუნდნენ, რომ უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საშუალებები იმისთვის, რომ მათ ხმის მიცემა ფარულად შეეძლოთ. ასამბლეა მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ამომრჩეველთა ანონიმურობა იმგვარად, რომ არ შეიძლებოდეს ამომრჩევლის დაკავშირება მიცემულ

ხმებთან; ამასთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები არ უნდა ჩაერიონ ფარულ კენჭისყრაში და არ ჰქონდეთ შესაძლებლობა, წაიკითხონ ბიულეტენები თვლის პროცესამდე.[6]

საარჩევნო პროცესში ხმის უფლების ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით არსებობს ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაც.[7] სასამართლო მიუთითებს, რომ ზოგადი თვალსაზრისით, 1-ლი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) სტანდარტების თანახმად, საარჩევნო სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ხმის მიცემის პროცესი წარიმართოს ფარული კენჭისყრით, რაც ამომრჩეველს შესაძლებლობას მისცემს, ხმა სასურველ კანდიდატს მისცეს თავისუფლად და ეფექტიანად, საკუთარი შეხედულებისამებრ და ყოველგვარი ჩარევის, დაშინების და დაგმობის გარეშე. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფა ასევე საჯარო ინტერესში შედის. ხმის მიცემის სისტემამ უნდა დაარწმუნოს ამომრჩევლები, რომ ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ ვერ გახდებიან იძულებულნი, გაამჟღავნონ, თუ ვის მისცეს ხმა.

2.2. ელექტრონული კენჭისყრის შემთხვევაში ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებული სტანდარტების შესახებ

ევროპის საბჭოს (შემდგომში „ევროსაბჭო“) მინისტრთა კომიტეტმა გასცა CM/CM/Rec(2017) რეკომენდაცია[8] ნევრი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული კენჭისყრის სტანდარტების შესახებ. კომიტეტი აღნიშნავს, რომ არჩევნების უფლება დემოკრატიის საფუძველია და შესაბამისად, ხმის მიცემის ყველა საშუალება, ელექტრონული ხმის მიცემის ჩათვლით, შესაბამისობაში უნდა იყოს დემოკრატიული არჩევნებისა და რეფერენდუმის პრინციპებთან. ამასთან, კომიტეტი აღიარებს, რომ არჩევნებში ინფორმაციული და კავშირგაბმულობის ტექნოლოგიების გამოყენება ნევრი სახელმწიფოების მიერ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. კომიტეტმა ასევე მოიხმო წარსულში გაცემული რეკომენდაციაც ელექტრონულ კენჭისყრასთან დაკავშირებით.[9]

CM/CM/Rec(2017) რეკომენდაციაში კომიტეტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. კერძოდ, დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ელექტრონული კენჭისყრა იმგვარად უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ უზრუნველყოს ხმის ფარულობა ხმის მიცემის პროცედურის ყველა ეტაპზე. ელექტრონული კენჭისყრის პროცესი, განსაკუთრებით დათვლის სტადია, ისე უნდა იქნეს ორგანიზებული, რომ არ იყოს შესაძლებელი ხმების დაკავშირება ამომრჩევლებთან. ხმები არის და უნდა დარჩეს ანონიმური. Rec(2004)11 რეკომენდაციაშიც კომიტეტი აღნიშნავს, რომ ელექტრონული კენჭისყრის პროცედურა იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ნებისმიერ სტადიაზე და განსაკუთრებით ამომრჩევლის ვინაობის დადგენისას, გამოირიცხებოდეს ნებისმიერი რამ, რაც ხმის მიცემის ფარულობას საფრთხეს შეუქმნის. ელექტრონული კენჭისყრის სისტემა გარანტიას უნდა იძლეოდეს რომ საარჩევნო ყუთში მოთავსებული და დათვლილი ხმები არის და დარჩება ანონიმური, ისე რომ არ იყოს შესაძლებელი ამომრჩეველსა და მიცემულ ხმას შორის კავშირის აღდგენა.

ელექტრონული კენჭისყრის დროს ფარულობის დაცვის სტანდარტებს ეხება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ელექტრონული კენჭისყრის სტანდარტების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/CM/Rec(2017)5 განმარტებითი მემორანდუმიც.[10] დოკუმენტის მიხედვით, ელექტრონულ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო უფლების ფარულობის სტანდარტი ანესებს ხმის ფარულობის ზოგად მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება არჩევნების მთლიანი პროცესის განმავლობაში, მათ შორის, წინასწარი კენჭისყრის ეტაპზე, (მაგალითად, ამომრჩევლებისთვის პინ კოდების ან ელექტრონული მონყობილობის (electronic tokens) გადაცემისას), აგრეთვე, ბიულეტენის შევსების დროს, ხმის მიცემისა და ბიულეტენის გადაცემისას, აგრეთვე, ხმების დათვლისა და ნებისმიერი გადათვლის ეტაპზე.

პატივისცემით,

[1] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2

[2] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, 27/12/2011, მუხლი 3, დ. დ.ა/დ. ბ ქვეპუნქტები

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის № 1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს მოქალაქეები უნა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II,4

[4] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის № 3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეციანიძე, ნინო ოდიშარია, დანი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II,33

[5] PACE Resolution 1590 (2007), Secret ballot – European code of conduct on secret balloting, including guidelines for politicians, observers and voters, para: 3

[6] იქვე


[7] Bakirdzi and E.C. v. Hungary, (ბაკირძი და ე.ც. უნგრეთის წინააღმდეგ) განაცხადი 49636/14, 65678/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, პარ.68

[8] Recommendation CM/Rec(2017)5¹ of the Committee of Ministers to member States on standards for e-voting (Adopted by the Committee of Ministers on 14 June 2017 at the 1289th meeting of the Ministers' Deputies)

[9] Recommendation Rec(2004)11 of the Committee of Ministers to member states on legal, operational and technical standards for e-voting (Adopted by the Committee of Ministers on 30 September 2004 at the 898th meeting of the Ministers' Deputies)

[10] წერილობითი სახელმწიფოების მიმართ ელექტრონული კენჭისყრის სტანდარტების შესახებ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/CM/Rec(2017)5 განმარტებითი მემორანდუმი, 2017 წლის 14 ივნისი - <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168071bc84>

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ლევან იოსელიანი